ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №383930

ნომერი: AR173771

თარიღი : 18.09.2012

გაცემის თარიღი : 09.10.2012

გაცნობის თარიღი : 11.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/37) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ კაციტაძე პ/ნ 01024029229
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30ა ბ. 63

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.11 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/15/2012 წ. AR173771 განცხადებით მომართა შპს ,,აზერ რამან კო“–ს წარმომადგენელი ნუგზარ კაციტაძემ და მოითხოვა 30.03.11 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო საკადასტრო ერთეულის საკადასტრო კოდის, ფართობის და კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 30.03.11 წელს ქალაქ

თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელი სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვ. #1/37) საოფისე შენობის ასაშენებლად დამტკიცდა #391 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აქტი გაცემული იქნა #01.13.02.001.037 (ფართობი 600 მ2) საკადასტრო ერთეულზე, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ის პარამეტრებითა და პირობებით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, რომლის თანახმადაც შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი, ფართობი და კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.11 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს – #01.13.02.001.049, ხოლო ნაკვეთის ფართობი 1029 მ2;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.11 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებ დაემატოს #01.13.02.001.049 საკადასტრო ერთეულის ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.11 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.